# ხელშეკრულება N172

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩვენი

ქ. თბილისი

30 ნოემბერი 2017წ.

ხელშეკრულება გაფორმდა, ერთის მხრივ შ.პ.ს. „ჰერმესსა“ (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ბუხა“ (შემგომში „მიმწოდებელი“) შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის მიზნით (NAT170012638), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს სამუშაო შემსყიდველს შემდეგ თანხაზე: **265 942.33** (ორასსამოცდახუთიათას ცხრაასორმოცდაორი ლარი და ოცდაცამეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტება**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - ხელშეკრულება) შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. შემსყიდველი ორგანიზაცია - ორგანიზაცია (დაწესებულება) რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. მიმწოდებელი - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. დღე, კვირა, თვე - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**მუხლი 2. სტანდარტები**

2.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას, რომ მოწოდებული სამუშაოს შედეგად მიღებული პროდუქტი იქნება შესაბამისი ყველა მოქმედი თანამედროვე სამშენებლო სტანდარტებისა და ნორმებისა.

2.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ სამუშაოს შედეგად შექმნილი შენობა იქნება უნაკლო (მოთხოვნილი სტანდარტების ფარგლებში), ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს მის დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

2.3. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 3 წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოზე ვრცელდება საგარანტიო ვადა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, საგარანტიო ვადის განმავლობაში, რაიმე წუნის(ნაკლოვანებები, დეფექტის) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია(ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

2.4. მასალის ხარისხი და ფაქტურა უნდა შეესაბამებოდეს პროექტით განსაზღვრულ ტექნიკურ მონაცემებს.

2.5. გამოსაყენებელი მასალის ფერი, ფაქტურა, კონფიგურაცია უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

**მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1. შემსყიდველს ან ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ მოწოდებული სამუშაო, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული სამუშაოს შეცვლა.

3.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შ.პ.ს. „ჰერმესი“-ს დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში დავით გიორგიძე, ტექნიკური ზედამხედველი ზაალ კუსრაშვილი.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 5%-ის ოდენობით ხელშეკრულების გაფორმებამდე. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო

გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.

**მუხლი 4. შესყიდვის ობიექტი (CPV45213150)**

4.1. შესყიდვის ობიექტს (ხელშეკრულების საგანს) წარმოადგენს კუკიის საქალაქო სასაფლაოს ტერიტორიაზე (საკ. კოდი: 01.16.04.001.038), საოფისე შენობის მშენებლობის სამუშაოები, თანდართული დოკუმენტაციით გათვალისწინებული ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით.

4.2. მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შესასრულოს ხელშეკრულებას თანდართული ხარჯთაღრიცხვისა და ტენდერის ტექნიკური დავალებით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების პროექტის მოთხოვნათა სრული და განუხრელი დაცვით.

**მუხლი 5. სამუშაოს მიწოდების პირობები და ვადები**

5.1 სამუშაოს მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 120 კალენდარული დღის ვადაში, საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნათა სრული დაცვით.

5.2. მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა გრაფიკი უნდა წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეათანხმოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7(შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3. მიწოდების ადგილია- ქ. თბილისი, ატოცის ქ. N2

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ფარული სამუშაოები არ ჩაატაროს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის გარეშე და შესაბამისი აქტები (შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმწერით) წარმოადგინოს ფორმა 2-თან ერთად.

**მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის საბოლოო/ეტაპობრივი მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოს მიწოდებისა და შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების 3.5. პუნქტში მითითებული პირები).

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ორგანიზაციის ან პირის მიერ შედგენილი დასკვნა შესრულებული სამუშაოს ფორმა N2-თან შესაბამისობის შესახებ. დასკვნის ხარჯების გაღება ეკისრება მიმწოდებელს.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან, ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს წარმოუდგინოს საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

**მუხლი 7. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება**

7.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **265 942,33 ლარს.**

7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.3. ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოს შესრულებისა და მე-6 მუხლში გათვალისწინებული დოკუმენტების შედგენის შემდეგ არაუგვიანეს 7 საბანკო დღის ვადაში.

7.4. საავანსო თანხის გაცემა შესაძლებელია შესაბამისი ოდენობის საბანკო (სადაზღვევო) უპირობოდ გამოთხოვადი გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 30%-ისა.

7.5. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ "საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში.

7.5. სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2.5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმბის შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2.5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

7.6. მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე, 2.5%-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან "საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარი, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების საგარანტიო ვადას.

**მუხლი 8. ფასები**

8.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**
9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა,
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მულით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**მუხლი 10. უფლებების გადაცემა**
10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

**მუხლი 11. სუბკონტრაქტორები**
11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
11.2. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთ სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

**მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3. საჯარო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**
13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისფულებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

**მუხლი 14. ფორს-მაჟორი**

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდვლისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქტიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებთ და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარე წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლებისაგან.

**მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა**

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საერთო სასამართლოს.

**მუხლი 16. შეტყობინება**

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებათი მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით.

**მუხლი 18. გარდამავალი დებულებები**

18.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერ მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| შ.პ.ს. ჰერმესი | შ.პ.ს. „ბუხა" |
| საიდ. კოდი: 202888349 | ს/კ: 401993456 |
| თბილისი, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი ნინოს ქ. N2ა | ქ. თბილისი, სამტრედიის 2ა. |
| TBC Bank | სს „ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი - TBCBGE22 | ბანკის კოდი LBRTGE22 |
| ა/ა GE64TB 7341 0360 2010 0002 | ა/ა GE74LB0113132803141000 |
| დირექტორი | დირექტორი |
| მიხეილ ძაგანია | პარმენ ბუხაიძე |

ჯიპიაი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

# ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
## (საბანკო გარანტია)

FG/17 016650

---

ვის: შპს ჰერმესი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს ბუხა-მ (ს/კ: 401993456),შემდგომში "მიმწოდებელმა" შპს ჰერმესი-ს წინაშე იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, (სერვის ცენტრისა და სარიტუალო სახლის საამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.NAT170012638) მის მიერ მოთხოვნილ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით არაუმეტეს თანხაზე 13 298,00 (ცამეტი ათასი ორასოთხმოცდათვრამეტი ლარი) და უპირობოდ ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას "მიმწოდებლის" მიერ შპს ჰერმესი-სთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე თქვენი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის მანძილზე.

საგარანტიო უზრუნველყოფა ძალაშია 2017 წლის 29 ნოემბრიდან 2018 წლის 28 მაისის ჩათვლით. საგარანტიო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე შპს ჰერმესი-ს მხრიდან აღარ მიიღება.

ეს გარანტია გაიცემა პრინციპალთან (მიმწოდებელთან) 2017 წლის 24 მაისს გაფორმებული მომსახურების გენერალური ხელშეკრულების №GA 154/17 საფუძველზე.

გარანტი

სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 204426674,
კოსტავას ქ. 67, თბილისი 0160

ოთარ რეხვიაშვილი
გენერალური დირექტორის პაატა ლომაძის და ფინანსური დირექტორის ლევან ზურაბშვილის მინდობილი პირი

თარიღი: 29.11.2017

GEO

FIRST NAME
PARMEN

LAST NAME
BUKHAIDZE

CITIZENSHIP: GEO
SEX: M
PERSONAL No: 60001043137

DATE OF BIRTH: 22.03.1987
DATE OF EXPIRY: 08.01.2027

CARD No: 16IA03941

SIGNATURE

PLACE OF BIRTH
KUTAISI

DATE OF ISSUE
08.01.2017

ISSUING AUTHORITY
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO16IA03941<6000104313 7<<<<
8703226M2701080GEO<<<<<<<<<<<3
BUKHAIDZE<<PARMEN<<<<<<<<<<<<